ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე
„საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის № 41 დადგენილების მოთხოვნებთან
შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის ობიექტი:

ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ქ №6, ს/კ 01.11.04.026.158

სასაწყობე და საოფისე შენობის პროექტი

დამკვეთი:

შპს „ევროპროდუქტი“

პროექტის ავტორი

შოთიკო ვეშაპიძე

ექსპერტი:

მაგდა მეშვილდიშვილი

ექსპერტიზის თარიღი ან პერიოდი:
01.05.2025

თ ბ ი ლ ი ს ი

2025 წ.

01.05.2025 მაგდა მეშვილდიშვილი

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურულ პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალების ჩამონათვალი:

1. განმარტებითი ბარათი;
2. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
3. პირობითი აღნიშვნები;
4. სიტუაციური გეგმა;
5. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
6. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
7. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები (არქიტექტურული ნაწილი);
8. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები (არქიტექტურული და ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი);
9. გზა-კიბის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
10. აივნის მოაჯირის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);

11. გარე კედლების დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი);
12. სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები (არქიტექტურული ნაწილი).

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 4

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 5

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 6

მისაწვდომობის შეფასება ---------- 7

შიგა გარემოს შეფასება ---------- 8

გარე კედლების შეფასება ---------- 9

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 10

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 11

ლიფტების შეფასება ---------- 12

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით, დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.**

- **შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**

- **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე ფართები -6.00 - +12.80 ნიშნულებზე) - შეესაბამება 304 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, რომლებიც გამოიყენება საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (საწყობები და მაცივარ-კამერები -6.00 - + 6.40 ნიშნულებზე) - შეესაბამება 311.3 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, სადაც არაწვადი მასალები ინახება.
  ამ ჯგუფში შედის საწყობები, სადაც ინახება: არაუმეტეს 16%-ის ალკოჰოლის შემცველი სასმელები ლითონის, მინის ან თიხის ჭურჭელში, რძის ნაწარმი, საკვები პროდუქტები, გაყინული საკვები, ხორცეული, მინის ბოთლები, ცარიელი ან არაწვადი სითხეებით სავსე, სარეცხი და საშრობი საშუალებები და ა.შ.

- **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (დამხმარე-ტექნიკური სათავსები -6.00; -3.00, +3.20 - +9.60 ნიშნულებზე) - შეესაბამება 312 ქვეთავს, რომლის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება დამხმარე დანიშნულების შენობები და ნაგებობები, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს).

- აღსანიშნავია, რომ 303.1.2 ქვეთავის მიხედვით, თავშეყრისთვის გამოყენებული ოთახი ან სივრცე, რომელიც სხვა დაკავებულობის დამხმარეა და რომლის დაკავებულობის დატვირთვა 50-ზე ნაკლებია, უნდა კლასიფიცირდეს, როგორც სქ ჯგუფის დაკავებულობა ან მისი ნაწილი.
  ასევე, თავშეყრისთვის გამოყენებული ოთახი ან სივრცე, რომელიც სხვა დაკავებულობის დამხმარეა და რომლის ფართობიც 70 კვ. მეტრზე ნაკლებია, უნდა კლასიფიცირდეს, როგორც სქ ჯგუფის დაკავებულობა ან მისი ნაწილი.

- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**

- საოფისე სივრცეებისათვის ---------- 9.3 მთლიანი;
- შეხვედრების ოთახისათვის ---------- 4.7 მთლიანი;
- სასადილოსათვის ---------- 1.4 სუფთა;
- დამხმარე სათავსებისათვის---------- 27.9 მთლიანი;
- დასატვირთი ფართობებისათვის---------- 27.9 მთლიანი;
- სასაწყობე ფართობისათვის ---------- 46.5 მთლიანი.

- **ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.**

შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა სართულების, ასევე შენობის სიმაღლის განსასაზღვრად დადგინდა მიწის დონე. 202 ქვეთავის მიხედვით, მიწის დონე არის ათვლის დონე/სიბრტყე, რომელიც წარმოადგენს შენობის გარე კედლების მოსაზღვრე მიწის მოპირკეთებული ზედაპირის გასაშუალებულ დონეს. თუ მიწის მოპირკეთებული ზედაპირის დონე გარე კედლებიდან დამრეცად მიდის, ათვლის დონე უნდა განისაზღვროს შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით, თუ მიწის ნაკვეთის საზღვარი შენობიდან დაშორებულია 1,8 მ-ზე მეტად, შენობასა და შენობიდან 1,8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით. შესაბამისად, შენობის სიმაღლე შეადგენს 22 მეტრს, იგი არ წარმოადგენს მაღლივ შენობას და მასში განთავსებულია 6 (ექვსი) მიწის დონის ზედა სართული.
- 202 ქვეთავის შესაბამისად, -6.00 ნიშნულზე მდებარე ფართობი მიჩნეულია მიწის დონის ზედა სართულად, რადგან მის თავზე მდებარე იატაკის მოპირკეთებული ზედაპირი მიწის მოპირკეთებული დონიდან 3.7 მეტრზე მაღლა მდებარეობს, ხოლო მისი საშუალო ამაღლება მიწის ზედაპირიდან 1.80 მეტრზე მეტია. ასევე, ამ დონეზე მდებარეობს შენობიდან გამოსასვლელი.
- 202 ქვეთავის შესაბამისად, -3.00 ნიშნულზე მდებარე ფართობი შესაძლებელია მივიჩნიოთ ანტრესოლად, ვინაიდან იგი წარმოადგენს 505-ე ქვეთავის შესაბამისად მოწყობილ შუალედურ დონეს სართულის იატაკსა და ჭერს შორის: მისი ფართობი არ აღემატება იმ სივრცის იატაკის ფართობის ერთ მესამედს, რომელშიც იგი მდებარეობს, ანტრესოლის იატაკის კონსტრუქციის ზემოთ და ქვემოთ არსებული თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,15 მ-ზე ნაკლები და იგი ნაწილობრივ გახსნილია იმ სივრცისაკენ, რომელშიც იგი მდებარეობს. გახსნილ მხარეს მოწყობილია 1.1 მ სიმაღლის მოაჯირი. ასევე, 505.2.3 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით, არ არის აუცილებელი, რომ ანტრესოლები და მათი ნაწილები ღია იყოს ოთახის მხარეს, თუ შემოზღუდული სივრცის საერთო ფართობზე დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 10-ს.
- 505.2 ქვეთავის შესაბამისად, ანტრესოლი ჩათვლილია იმ სართულის ნაწილად, რომლის საზღვრებშიც იგი მდებარეობს, იგი არაა გათვალისწინებული 503.1 ქვეთავის შესაბამისად შენობის სართულების რაოდენობის რეგულირებისას, მაგრამ ანტრესოლის ფართობი გაითვალისწინებულია ცეცხლისგან დაცული ფართობების განსაზღვრისას. ანტრესოლის გასასვლელი მოწყობილია მე-10 თავის მოთხოვნების შესაბამისად.

- **სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:**

- მიწის დონის ზედა I სართული (ანტრესოლით) ------ ჯგუფი სწ-2 (1846.2 მ²); ჯგუფი სქ (21.4 მ²); ჯგუფი დს (60.8 მ²);
- მიწის დონის ზედა II სართული ------ ჯგუფი სწ-2 (1679.4 მ²); ჯგუფი სქ (87.9 მ²); ჯგუფი დს (9.5 მ²);
- მიწის დონის ზედა III სართული ----- ჯგუფი სქ (74. 8²); ჯგუფი დს (73.3 მ²);
- მიწის დონის ზედა IV სართული ----- ჯგუფი სწ-2 (1720.9 მ²); ჯგუფი სქ (142.9 მ²); ჯგუფი დს (7.8 მ²);
- მიწის დონის ზედა V სართული ------ ჯგუფი სქ (268.9 მ²); ჯგუფი დს (57 მ²);
- მიწის დონის ზედა VI სართული ----- ჯგუფი სქ (259.2 მ²); ჯგუფი დს (4.1 მ²)

- საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი (I-B) შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. I-B ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები უნდა განისაზღვროს 601 ქვეთავის შესაბამისად.
- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს და შენობის ასეთი ელემენტების, კომპონენტების და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრული 721 ქვეთავის მიხედვით.

- ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ----------2სთ.
- გარე მზიდი კედლები ----------2სთ.
- შიგა მზიდი კედლები ----------2სთ.
- იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------2სთ.
- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ----------1სთ.

- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება 602 ცხრილის და 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნებს.

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406 ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს, აივნები დამზადებული არ არის წვადი მასალებისაგან, შესაბამისად, აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.
- გარე კედლებში არსებული ღიობები შვეულად გამიჯნულია 705.8.5 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად. შვეული გამიჯვნა უზრუნველყოფილია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის 90 სმ-ზე მეტი სიმაღლის გარე კედლებით და 76 სმ-ზე მეტი, 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კონსოლური ნაშვერებით (აივნებით „გ“ ღერძის მიმდებარედ).
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობის მხოლოდ ნაწილს გააჩნია 705.11 ქვეთავის შესაბამისი პარაპეტი.
- გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.
- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.
- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა აკმაყოფილებს 508.4 ცხრილის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ ერთნაირად კლასიფიცირებული დაკავებულობების გამიჯვნა სავალდებულო არ არის.
- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტების და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილია, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები აღარ გამოიყენება, თანახმად 707.4 ქვეთავისა.
- ღიობების საერთო სიგანე კედლის სიგრძის 25%-მდე არ იზღუდება, ვინაიდან ღიობის დამცავი ცეცხლმედეგი კარია, რომელიც შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემომზღუდავებს ემსახურება, თანახმად 707.6 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.
- სადაც დერეფანი ემსახურება 30-ზე მეტი დაკავებულობის დატვირთვის ფართობებს, დერეფნის კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს, რაც აღემატება 708.1 ქვეთავის და 1018.1 ცხრილის მოთხოვნას.
- ±0.00 და +3.20 ნიშნულების დამაკავშირებელი ღიობი აკმაყოფილებს 712.1.8 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

1. იგი არ მდებარეობს დსშ-2 და დსშ-3 ჯგუფის დაკავებულობებში;
2. ორზე მეტ სართულს არ აკავშირებს;
3. მე-10 თავით მოთხოვნილ გზა-კიბეს ან პანდუსს არ შემოიცავს;
4. ხანძრისგან დაცული ფართობების გამმიჯნავ თარაზულ ანაწყობში ან დაუკვამლიანებელი განყოფილებების გამმიჯნავ კვამლგაუმტარ ზღუდეებში არ გადის;

5. კედლის კონსტრუქციაში ან იატაკ-ჭერის ანაწყობში არაა დამალული;
6. დერეფნისკენ დწ და სც ჯგუფების დაკავებულობებისკენ გახსნილი არაა;
7. საშხეფით დაუცველი იატაკები დერეფნისკენ გახსნილი არაა;
8. იატაკის ღიობებისგან და სხვა იატაკების მომსახურე საჰაერო ღიობებისგან გამიჯნულია კონსტრუქციით, რომელიც აკმაყოფილებს შახტის შემომზღუდავთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

- კარის ღიობების ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- მე-9 თავის მიხედვით, სქ, სწ-2 და დს ჯგუფების აღჭურვა ავტოსაშხეფი სისტემით სავალდებულო არ არის.
- ასევე, სახანძრო დანაყოფის ავტომობილის მისადგომიდან 16,8 მ-ზე ან 16,8 მ-ზე მაღლა იატაკის დონის დაკავებულობის დატვირთვა არ უტოლდება 30-ს, შესაბამისად ავტოსაშხეფი არც 903.2.11.3 პუნქტის მიხედვითაა სავალდებულო.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან, ან თუ ყველაზე დაბალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ქვემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. აღნიშნული მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია.

- თანახმად 905.6 ქვეთავისა, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემების სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს 905.4 ქვეთავში I კლასის და 905.5 ქვეთავში II კლასის სახანძრო მილდგარებისათვის განსაზღვრულ ადგილებში.

თანახმად 905.4 ქვეთავისა:

- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, I კლასის მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების მიმდებარედ დერეფანში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მითითებისამებრ.

- გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.

თანახმად 905.5 ქვეთავისა:

- II კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. II კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია სასაწყობე სივრცეებში და მათ მომსახურე საერთო სარგებლობის დერეფნის საზღვრებში.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 912 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისი სახანძრო- სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები. იგი განთავსებულია ფასადზე, ეზოს მხრიდან და ადვილად დასანახი და ამოსაცნობია სახანძრო ავტომობილის მისადგომი უახლოესი პუნქტიდან.
- მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- რაც შეეხება სახანძრო ჰიდრანტს, იგი მდებარეობს საპროექტო ტერიტორიაზე, ჩრდილო-დასავლეთ საკადასტრო საზღვართან, ნაკვეთში შესასვლელი გზის მიმდებარედ.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სქ, დს და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობებში, რაც შეესაბამება 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- 907.2.2 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა უნდა მოეწყოს სქ ჯგუფის დაკავებულობებში, რომელიც შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს აკმაყოფილებს:

1. სქ ჯგუფის ყველა იატაკის დაკავებულობის საერთო დატვირთვა შეადგენს 500 კაცს ან მეტს;
2. სქ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა 100 ადამიანზე მეტია შენობიდან გამოსასვლელის ყველაზე დაბალი დონის ზემოთ ან ქვემოთ;
3. ცეცხლისგან დაცული ფართობი მოიცავს მოვლა-მზრუნველობის ამბულატორიულ დაწესებულებას.

- სქ ჯგუფის ცეცხლისაგან დაცული ფართობი არ ჯდება 907.2.2 ქვეთავით განსაზღვრულ რომელიმე კრიტერიუმში, შესაბამისად, სქ ჯგუფისათვის სავალდებულო არაა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, თუმცა აღნიშნული სისტემა საპროექტო შენობაში მეტი უსაფრთხოებისათვის გათვალისწინებულია.

- ასევე, მიუხედავად იმისა, რომ სწ-2 და დს ჯგუფების აღჭურვა სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით სავალდებულო არაა, პროექტით მაინც გათვალისწინებულია.
- სქ, სწ-2 და დს ჯგუფის ფართობები აღჭურვილია კვამლაღმომჩენებით, ხოლო სახანძრო სიგნალიზაცია გათვალისწინებულია მთელს შენობ აში, სველი წერტილების გარდა.
- ასევე ყველა სართულზე, ლიფტის შახტის შესასვლელებთან, მოწყობილია კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლითაც (სახანძრო განგაშის სისტემასთან ერთად) უნდა გააქტიურდეს ლიფტის დაწნევის სისტემა, რაც შეესაბამება 909.21.6 ქვეთავის მოთხოვნას.
- იმის გათვალისწინებით, რომ სქ, დს და სწ-2 ჯგუფის ფართობები აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, სახანძრო განგაშის სისტემა უნდა გააქტიურდეს სახანძრო განგაშის კოლოფის ამოქმედებისთანავე, შესაბამისად საოფისე ფართობი აღჭურვილია დამკავებელთა შეტყობინების სისტემით, რაც შეესაბამება 907.5 ქვეთავის მოთხოვნას.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- კიბის უჯრედები და ლიფტის შახტი უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე-6 გამონაკლისისა და 1022.10.2 ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით. ასევე, სასწყობე სივრცეებში გათვალისწინებულია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა (იხ.შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტი)

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზები:

- საპროექტო შენობას ორი მხრიდან ესაზღვრება სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა. აღნიშნული გზების სიგანე არანაკლებ 4.5 მეტრია, ხოლო გზის მოხვევის შიგა რადიუსი - არანაკლებ 6 მეტრია, გზის თავისუფალი და ჩაუხერგავი შვეული სიმაღლე - არანაკლებ 4.5 მეტრი, რითაც დაკმაყოფილებულია 915.4 ქვეთავის გამონაკლისის მოთხოვნები.
- ვინაიდან საპროექტო შენობა შეიძლება ჩაითვალოს ცალკე მდგომ სასაწყობე შენობად და მისი სიგანე 30 მეტრს აღემატება, გათვალისწინებულია სახანძრო ავტოკიბეების მისადგომი გზა ორი მხრიდან - აღმოსავლეთიდან -0.60 ნიშნულზე და დასავლეთიდან -6.80 ნიშნულზე.
- ვინაიდან საპროექტო შენობის სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე აღემატება 10 მეტრს და არ აღემატება 30 მეტრს, სახანძრო ავტოკიბეების მისასვლელი გზის შიგა კიდიდან შენობის ფასადამდე მანძილი 4.5 მეტრიდან 9 მეტრამდეა, 915.8 ქვეთავის შესაბამისად.
- ვინაიდან ჩიხის სიგრძე 45 მეტრს არ აღემატება, 915.23 ქვეთავის შესაბამისად, მოსაბრუნებელი მოედნის გათვალისწინება სავალდებულო არ არის.

გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობა აკმაყოფილებს 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნას და თითოეულ სართულს ემსახურება 2 გასასვლელი.
- **გასასვლელებს შორის მანძილი აკმაყოფილებს 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს. კერძოდ, გასასვლელები განთავსებულია ორი გზა-კარის საჭიროებიანი შენობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტ მანძილზე. სადაც სართულს ემსახურება 3 გასასვლელი, სულ მცირე, ორი გასასვლელი განთავსებულია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით, როგორც ამას 1015.2.2 ქვეთავი მოითხოვს.**
- **ამასთან აღსანიშნავია, რომ ამავე ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით, სქ ჯგუფის დაკავებულობებში, სადაც გზა-კიბეები ერთმანეთთან დაკავშირებულია 1-საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე დერეფნით, რომელიც აკმაყოფილებს 1018-ე ქვეთავის მოთხოვნებს, გასასვლელის აუცილებელი გამმიჯნავი უნდა გაიზომოს დერეფნის ფარგლებში პირდაპირი სავალი ბილიკის გასწვრივ.**
- რაც შეეხება -3.00 ნიშნულზე მდებარე ანტრესოლს, ვინაიდან იგი მდებარეობს მიწის დონის ზემოთ, დაკავებულობის დატვირთვა არ აღემატება 29-ს, ხოლო სავალი მანძილი - 23-ს, დასაშვებია, მას ემსახურებოდეს 1 გასასვლელი. იმავე მიზეზით, მეორე სართულზე მდებარე ფართობს დასაშვებია, ემსახურებოდეს 1 გასასვლელი.
- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნები. სადაც საჭიროა ორი გასასვლელი, გასასვლელები განთავსებულია ორი გზა-კარის საჭიროებიანი ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტ მანძილზე. სადაც ფართობს ემსახურება 3 გასასვლელი, სულ მცირე, ორი გასასვლელი განთავსებულია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით, როგორც ამას 1015.2.2 ქვეთავი მოითხოვს.
- რაც შეეხება მაცივარ-კამერებს, დაკმაყოფილებულია 1015.5 ქვეთავის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც, 100 მ^2 ან მეტი იატაკის ფართობის მქონე ოთახებს ან სივრცეებს, რომლებიც მოიცავს გამაციებელი ნივთიერების ამაორთქლებელს და 20°C-ზე დაბალ ტემპერატურას ინარჩუნებს, უნდა ჰქონდეს კარიანი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომის, არანაკლებ, ორი გზა-კარი. სავალი მანძილი განსაზღვრულია 1016.1 ქვეთავის მიხედვით, მაგრამ იმგვარად, რომ მაცივარ-ოთახების ან სივრცეების ყველა ნაწილი მოქცეულია გასასვლელთან მისადგომის გზა-კარიდან 45 მ-ის საზღვრებში.
- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (ამ შემთხვევაში
- 1.20 მეტრის სახით). თუმცა წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1.20 მეტრს.

- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე, სულ მცირე 0.82 მეტრია.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი დერეფნის გამტარუნარიანობა ზოგ შემთხვევაში გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.20 მეტრს.
- პროექტში წარმოდგენილი გზა-კიბეები წარმოადგენს მისაწვდომ გასასვლელ საშუალებებს.
- 1007.3 ქვეთავის მიხედვით,იმისათვის, რომ გზა-კიბეები მისაწვდომი გასასვლელი საშუალების ნაწილად ჩაითვალოს, სართულებს შორის მდებარე გზა-კიბის თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის, სულ მცირე, 1,2 მ უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს ან იატაკის დონეზე გადიდებული ბაქნის საზღვრებში მდებარე თავშესაფრის ფართობს, ან უნდა ჰქონდეს მისადგომი 1007.6 ქვეთავის შესაბამისი თავშესაფრის ფართობიდან.
- 1007.6 ქვეთავის მიხედვით, ყველა აუცილებელ თავშესაფრის ფართობს უნდა ჰქონდეს მისაწვდომი გასასვლელი საშუალებები იმ სივრციდან, რომელსაც ის ემსახურება. მაქსიმალური სავალი მანძილი ნებისმიერი მისადგომი სივრციდან თავშესაფრის ფართობამდე არ უნდა აღემატებოდეს 1016.1 ქვეთავში დაკავებულობისთვის განსაზღვრულ სავალ მანძილს. ყველა აუცილებელი თავშესაფრის ფართობი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს 1007.3 ქვეთავის შესაბამისად მოწყობილ გზა-კიბეს ან 1007.4
- ქვეთავის შესაბამისად დაყენებულ ლიფტს. თუ თავშესაფრის ფართობად გამოყენებულია ლიფტის ფოიე, შახტი და ფოიე უნდა აკმაყოფილებდეს 1022.10 ქვეთავში კვამლგაუმტარი შემომზღუდავებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.
- თითოეული თავშესაფრის ფართობი უნდა მოიცავდეს ერთი ეტლისათვის საჭირო სივრცეს, რომლის ზომებია 76 სმ × 1.3 მ, ყოველი 200 დამკავებლისათვის ან მათი ნაწილისათვის, თავშესაფრის ფართობისა და იმ ფართობების დაკავებულობის დატვირთვის გათვალისწინებით, რომელთაც ემსახურება თავშესაფრის ფართობი.
- ეტლისათვის საჭირო ასეთი სივრცეები არ უნდა 407 ამცირებდეს გასასვლელის აუცილებელ სიგანეს.
- თავშესაფრის ფართობზე ეტლისთვის საჭირო ნებისმიერ სივრცესთან მისაწვდომი არ უნდა ჩაიხერგოს ერთზე მეტი მომიჯნავე ეტლისთვის საჭირო სივრცით.
- პროექტით 1007 ქვეთავის მოთხოვნები გათვალისწინებულია.
- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- ყველა კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს: საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია არანაკლებ 28 სმ-ით, ხოლო ამაღლება- არაუმეტეს 18 სმ-ით. ამასთანავე საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა. ასევე დაკმაყოფილებულია საფეხურების ნაშვერების ზომა და მათი ერთგვაროვნება, რაც განსაზღვრულია 2 სმ-ით, რაც შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავების მოთხოვნებს.
- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბის მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად, რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.
- გზა-კიბეების შემაღლებები/შუბლები მასიურია, ღიობების გარეშე, როგორც ამას 1009.7.5.3 ქვეთავი მოითხოვს.
- კიბისა და ბაქნების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია, რომ 1013.2 ქვეთავის მიხედვით,მთავარ შესასვლელთან არსებული კიბეები და ბაქნები არ საჭიროებს მოაჯირებს, ვინაიდან დონის სხვაობა ტროტუარსა და შესასვლელს შორის 75 სმ-ზე ნაკლებია. ასევე, ამავე ქვეთავის გამონაკლისის მიხედვით, დასატვირთ ბაქნებს არ ესაჭიროებათ მოაჯირები იმ მხარეს, სიდანაც ხდება დატვირთვა.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.
- 1026.2 ქვეთავის მიხედვით, დასაშვებია, გარე გასასვლელი გზა-კიბე გამოიყენებოდეს, როგორც აუცილებელი გასასვლელი საშუალება, ვინაიდან საპროექტო შენობა არ მოიცავს დწ-2 ჯგუფის დაკავებულობას, მისი სიმაღლე არ აღემატება 8 სართულს და შენობა არ არის მაღლივი.
- საპროექტო გარე გზა-კიბე თავისი მახასიათებლებით აკმაყოფილებს 1026.3, 1026.4 და 1026.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

1) გარე გასასვლელის გზა-კიბე, სულ მცირე, ერთი მხრიდან ღიაა;
2) გარე გასასვლელის გზა-კიბის ცეცხლგამყოფი მანძილი არანაკლებ 3 მეტრია;
3) გარე გასასვლელის გზა-კიბის ღია მხარეს ესაზღვრება შიდა ეზო.

- გარე გასასვლელის გზა-კიბე შიგა სივრცისგან გამიჯნულია 1026.6 ქვეთავის შესაბამისად.
- გარე გზა-კიბესთან გათვალისწინებულია სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილი ფართობი. აღნიშნული ფართობის ზომა შეესაბამება 1007.7.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილ გარე ფართობი გამიჯნულია შიგა სივრცისაგან 1007.7.4 ქვეთავის შესაბამისად.
- სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილი გარე ფართობი ღიაა ატმოსფეროსკენ ქვეთავის შესაბამისად და გახსნილია 3 მხრიდან.
- გზა-კიბეებზე, რომლებიც სხვისი დახმარებით თავდაღწევისათვის განკუთვნილი გარე ფართობის მომსახურე გასასვლელი საშუალებების ნაწილია, მოაჯირებს შორის თავისუფალი სიგანე უნდა უტოლდება 1,2 მ-ს, 1007.7.6 ქვეთავის შესაბამისად.
- სხვისი დახმარებით თავდასაღწევ ფართობთან გათვალისწინებულია ორმხრივი კავშირის სისტემა.

- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება საწყობებისა და მაცივარ-კამერების კარებს, ამავე ქვეთავის პირველი და მე-6 გამონაკლისების მიხედვით, დასაშვებია თარაზულად მოძრავი გასასრიალებელი კარები. აღნიშნული კარები, თავის მხრივ, აკმაყოფილებს 1008.1.4.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- **1008.1.2 ქვეთავის შესაბამისად, კარები იღება გასასვლელისკენ სავალი ბილიკის მიმართულებით, სადაც იგი ემსახურება ოთახებს ან ფართობებს, სადაც დაკავებულობის დატვირთვა 50 ან 50-ზე მეტია.**
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკის სიგრძე აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს. 202 ქვეთავის მიხედვით, გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკი არის გასასვლელთან მისადგომის მონაკვეთი, რომლის გადაკვეთა აუცილებლია შენობაში მყოფთათვის, სანამ ორ დამოუკიდებელ გასასვლელამდე მიაღწევენ და არჩევანს გააკეთებენ გასასვლელებს შორის.
- ყველა იმ ფართში, სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასვლელის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- შენობის სახურავზე მიდგომა ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, თანახმად 1009.16 ქვეთავისა.
- ასევე დაკმაყოფილებულია 1027.5 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, შენობიდან გამოსასვლელები უნდა უზრუნველყოფდეს საზოგადოებრივ გზასთან პირდაპირ და დაუბრკოლებელ მისადგომს.
- გასასვლელის შიგა ეზოების სიგანე, რომლებიც გასასვლელი საშუალებების სისტემაში შენობიდან გამოსასვლელის ნაწილია, აკმაყოფილებს 1027-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის ყველა შესასვლელამდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა იყოს. თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავს ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- 1103.2.5 ქვეთავის მიხედვით, დს ჯგუფის დაკავებულობებს არ ეხება მისაწვდომობის მოთხოვნები.
- 1104.3.1 ქვეთავის მიხედვით, თანამშრომლების სამუშაო 100 მ²-ზე მცირე ფართობის საზღვრებში მუდმივი ტიხრებით, დახლებით ან ავეჯით გამოყოფილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები; ასევე თანამშრომლების სამუშაო ფართობების საზღვრებში მოწყობილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, რომლებიც მოწყობილობის განუყოფელი კომპონენტია, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები.
- 1103.2.9 ქვეთავის მიხედვით, სივრცეები, სადაც შედის მხოლოდ პერსონალი მოწყობილობების მოსავლელად, შესაკეთებლად ან თვალყურის მისადევნებლად, არ საჭიროებს მისაწვდომობას. მაგ: ლიფტების პენტჰაუზები, მექანიკური, ელექტრო- ან საკომუნიკაციო მოწყობილობებისთვის განკუთვნილი ოთახები და ა.შ.
- 1103.2.15 ქვეთავის მიხედვით, მაცივარ-კამერები და საყინულე კამერები, რომელთაც მხოლოდ თანამშრომლები იყენებენ, არ საჭიროებს მისაწვდომობას.
- 1104.4 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით, მისაწვდომი სვლაგეზი არ სჭირდება სართულებსა და ანტრესოლებს, რომელთა საერთო ფართობი არ აღემატება 280 მ²-ს და რომლებიც მდებარეობს მისაწვდომი დონეების ზემოთ ან ქვემოთ. ეს გამონაკლისი არ ეხება მხოლოდ სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებს და მგზავრთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ნაგებობებს.
- 1105.1 ქვეთავის მეორე გამონაკლისის მიხედვით, ტვირთის შესაზიდი და მომსახურებისთვის განკუთვნილი შესასვლელები, რომლებიც არ არის საზოგადოებრივი სივრცის ერთადერთი შესასვლელი, არ საჭიროებს მისაწვდომობას.
- საპროექტო შენობის მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივ ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტები მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- თავშესაფრის ფართობებთან მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც აკმაყოფილებს 1007.8 და 1007.6.3 ქვეთავების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების
- მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.
- თავშესაფრის ფართობებთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“. ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.
- თავშესაფრის ფართობებთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს.

შიგა გარემოს შეფასება:

- ყველა დაკავებული ფართობი ნიავდება მექანიკურად და ბუნებრივად. რაც შეეხება საზოგადოებრივი სივრცეების მომსახურე ტუალეტის ოთახებს, იგი ნიავდება მექანიკურად. ყოველივე აღნიშნული შესაბამისობაშია 1203 ქვეთავთან.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, ვესტიბიულში, საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ყველა ფართობი უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით, რაც შეესაბამება 1205.1 ქვეთავს. შუქგამტარი სუფთა ფართობი არ არის ოთახის იატაკის ფართობის 8%-ზე ნაკლები. ასეთი გარე ღიობები გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206 ქვეთავის შესაბამის ეზოში.
- ბუნებრივი განიავების და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- დაკავებული სივრცეების არცერთი ზომა გეგმაში არ არის 2.2 მ-ზე ნაკლები.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

გარე კედლების შეფასება:

- წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, გარე კედლები შესრულებულია ბეტონის ბლოკის წყობითა და სენდვიჩპანელებით.
- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისაგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვებათ ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, თანახმად 1403.2 ქვეთავის 1-ლი გამონაკლისისა.
- რაც შეეხება ლითონის კარკასზე დამაგრებულ სენდვიჩპანელებს, რომლის ლითონის საფარი შედგება გალვანიზებული ფურცლოვანი რკინის, გრუნტის ფენის და საღებავისაგან. ასეთი დაფარვა ხასიათდება კოროზიისადმი მედეგობით, რაც ხელს უწყობს მასალის ექსპლუატაციის ხანგრძლივობას. კოროზია მედეგობის მიხედვით სენდვიჩ პანელის გარე ლითონის ფენა შედგება: ორგანული ფენა 25µm და გალვანიზებული ფენა 20 µm. ყოველივე ზემოთჩამოვლილი მახასიათებლებით დაკმაყოფილებულია 14-ე ქვეთავის მოთხოვნები.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602 და 705.8.5 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით.
- პოლიურეთანის პანელები კლასიფიცირდებიან B2 ცეცხლმედეგობის კლასში.
- 1407.11.1.2. ქვეთავის მიხედვით, იქ, სადაც ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 1,5 მ-ს, გარე კედლის ზედაპირზე ლითონშემცველი მასალების გამოყენება შეუზღუდავი რაოდენობით დასაშვებია.
- 1407.8 ქვეთავის მიხედვით, სადაც ლითონშემცველი მასალების სისტემები გამოიყენება ისეთი გარე კედლების აგებისას, რომელთაც მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხი (ქვეთავი 705), მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს უნდა წარედგინოს დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ცეცხლმედეგობის ხარისხი შენარჩუნებულია.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, აღნიშნულის მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონეში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3, მე-7) და მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალ მთიან რეგიონებშია სავალდებულოა შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არაა სავალდებული, თანახმად 1405.3 ქვეთავისა.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი მოწყობილია გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნას.

სახურავის ანაწყობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნას ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე. სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს B კლასის კატეგორიით. B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.
- სახურავის წყალარინი სისტემა იყენებს მინ. 100 მმ დიამეტრის წყალსადენ მილებს, რაც შეესაბამება 1503.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

წყალსადენის სისტემის შეფასება:

- თითოეული დაკავებულობებისათვის საჭირო წყალსადენი სისტემების მოწყობილობების რაოდენობა აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს
- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- გარდა ზემოთაღნიშნული მოწყობილობებისა, პროექტი ითვალისწინებს შშმპ განკუთვნილი ტუალეტების მოწყობას.

ლიფტის შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1701.5 ქვეთავის მოთხოვნა და შენობას ემსახურება 3 ლიფტი.
- აქედან 2 ლიფტის კაბინაში შესაძლებელია 60 სმ × 2,15 მ ზომის, არანაკლებ, 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცის განთავსება გახსნილ, თარაზულ მდგომარეობაში, როგორც ამას 1702.4 ქვეთავი მოითხოვს.

- ლიფტის შახტა შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას; ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ლიფტების სამანქანო ოთახი ცეცხლმედეგი ზღუდეებით და თარაზული ანაწყობით გამიჯნულია მომიჯნავე ფართებისაგან და ასეთი გამმიჯნავის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, ხოლო ცეცხლმედეგ ზღუდეში მოწყობილი კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 90 წუთს, რაც შეესაბამება 1706.4 ქვეთავის მოთხოვნას.

დასკვნა:

ქ.თბილისში, სარაჯიშვილის ქ№ 6-ში, ს/კ 01.11.04.026.158 სასაწყობე და საოფისე შენობის პროექტი შესაბამისობაშია „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან.

დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას. ამრიგად, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება განსახორციელებლად.

არქიტექტორი: შოთიკო ვეშაპიძე

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი

01.05.2025 მაგდა მეშვილდიშვილი

საექსპერტო დასკვნა

„ტექნიკური რეგლამენტი – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის № 732 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

ობიექტის მისამართი: ქ.თბილისი, სარაჯიშვილის ქ №6, ს/კ 01.11.04.026.158

ობიექტის დანიშნულება: სასაწყობე და საოფისე შენობა

ექსპერტი: მაგდა მეშვილდიშვილი 

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად გადმოცემულია შემდეგი მასალები:

1. ინფორმაცია საპროექტო ობიექტის თაობაზე;
2. გენგეგმა მ 1:500;
3. გეგმები, ჭრილები, ფასადები მ 1:100;
4. აქსონომეტიული ხედები და ფოტომონტაჟი.

შენიშვნა: მოცემული დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

გადმოცემული მასალები სრულიად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

- ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“ -ს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილების 102.2 ქვეთავის მიხედვით, ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მე-10 თავების შესაბამის დებულებებს უნდა აკმაყოფილებდეს ის ადგილები, საშუალებები, შენობები და ელემენტები, რომლებიც მისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ შესაბამისად.

- 1103.2.5 ქვეთავის მიხედვით, დს ჯგუფის დაკავებულობებს არ ეხება მისაწვდომობის მოთხოვნები.

- 1104.3.1 ქვეთავის მიხედვით, თანამშრომლების სამუშაო 100 მ²-ზე მცირე ფართობის საზღვრებში მუდმივი ტიხრებით, დახლებით ან ავეჯით გამოყოფილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები; ასევე თანამშრომლების სამუშაო ფართობების საზღვრებში მოწყობილი საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკები, რომლებიც მოწყობილობის განუყოფელი კომპონენტია, დასაშვებია, არ იყოს მისაწვდომი სვლაგეზები.

- 1103.2.9 ქვეთავის მიხედვით, სივრცეები, სადაც შედის მხოლოდ პერსონალი მოწყობილობების მოსავლელად, შესაკეთებლად ან თვალყურის მისადევნებლად, არ საჭიროებს მისაწვდომობას. მაგ: ლიფტების პენტჰაუზები, მექანიკური, ელექტრო- ან საკომუნიკაციო მოწყობილობებისთვის განკუთვნილი ოთახები და ა.შ.

- 1103.2.15 ქვეთავის მიხედვით, მაცივარ-კამერები და საყინულე კამერები, რომელთაც მხოლოდ თანამშრომლები იყენებენ, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

- 1104.4 ქვეთავის პირველი გამონაკლისის მიხედვით, მისაწვდომი სვლაგეზი არ სჭირდება სართულებსა და ანტრესოლებს, რომელთა საერთო ფართობი არ აღემატება 280 მ²-ს და რომლებიც მდებარეობს მისაწვდომი დონეების ზემოთ ან ქვემოთ. ეს გამონაკლისი არ ეხება მხოლოდ სამედიცინო მომსახურების დაწესებულებებს და მგზავრთა ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ ნაგებობებს.

- 1105.1 ქვეთავის მეორე გამონაკლისის მიხედვიტ, ტვირთის შესაზიდი და მომსახურებისთვის განკუთვნილი შესასვლელები, რომლებიც არ არის საზოგადოებრივი სივრცის ერთადერთი შესასვლელი, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, პანდუსებს, კარებს, გზა-კარებს და ლიფტებს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.
- საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირის მაქსიმალური სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.
- იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად, დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.
- მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას. სადაც მისაწვდომი სვლაგეზის სიგანე 900 მმ-ზე მცირეა (მაგ: შეხვედრების ოთახში), დაკმაყოფილებულია 403.5.1 ქვეთავის პირველი გამონაკლისის პირობა, კერძოდ: მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შემცირებულია არაუმცირეს 820 მმ- მდე, ასეთი შემცირებული არეალის სიგრძე არაუმეტეს 600 მმ-ია და სიგანე შემცირებულ სეგმენტებს შორის მინიმალური მანძილი 1300 მმ, ხოლო სიგანე არაუმცირეს 900 მმ-ია.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.
- საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

